3 № 392857

საქართველო
საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

N 53 61
29/01/2021

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არშემდგარი ელექტრონული აუქციონის საწყისი საპრივატიზებო საფასურის შემცირების და განმეორებით პრივატიზაციის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 118–ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 ივნისის #54 26 განკარგულების „საჩხერის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 მარტის #54 15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე ვბრძანებ:

1. შემცირდეს საჩხერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ტრანსპორტის სარეგისტრაციო ნომერი KK866PP; მარკა ISUZU, მოდელი-NPR; სატრ. საშ. საიდენტიფიკაციო ნომერი JAANPR66L87111324; გამოშვების წელი 2008; ფერი თეთრი; ტიპი სპეციალიზებული; ძრავის მოცულობა 4554; საწვავის ტიპი ან ენერგიის წყარო დიზელი;) საწყისი საპრივატიზებო საფასური (4450.00 ლარი) 50%-ით და განისაზღვროს 2225.00 ლარით „ბე“ და ბიჯი გასაყიდი ფასის 10–10 პროცენტით.

2. ელ-აუქციონის დაწყების დროდ განისაზღვროს 2021 წლის 5 თებერვალი 12.00 საათი და დასრულების დროდ ამავე წლის 12 თებერვალი 12.00 საათი.

3. ბრძანება გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს და სააუქციონო კომისიას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, კანონით დადგენილი წესით, საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.საჩხერე, დ.აღმაშენებლის ქუჩა #3).

ბენიამენ ფალავანდიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი